ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7172280

ნომერი: AR11051908

თარიღი : 06.08.2024

გაცემის თარიღი : 08.08.2024

გაცნობის თარიღი : 08.08.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, N 83ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე დათებაშვილი პ/ნ 01020007487
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 24ბ, ბინა 49

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 06 აგვისტოს №AR11051908 განცხადებით მომართა თორნიკე დათებაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 7

ივნისის №7071373 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებით, №01.19.21.003.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო ცენტრი; სასაწყობე შენობები) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2024 წლის 23 ივლისის №7145062 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად დაფიქსირდა 193.5 კვ.მ., კომერციული ფართობად - 8574.53 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1086.85 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 554.2 კვ.მ., საერთო ფართობად - 13082.22 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებით შეთანხმებული „ა“ შენობის (სავაჭრო ცენტრი) არქიტექტურული გეგმები (გარდა სახურავის გეგმისა) ჩანაცვლდა №AR11048591 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე შენობის გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებით შეთანხმებულ გენ-გეგმაზე მდებარეობს ტუმბოს ოთახი და მიწისქვეშა რეზერვუარი, რომელიც არ არის შეყვანილი დამხმარე ფართობში, აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად 554.2 კვ.მ-ის ნაცვლად 614.31 კვ.მ-ის, ხოლო, საერთო ფართობად 13082.22 კვ.მ-ის ნაცვლად 13142.33 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებით შეთანხმებულ გენ-გეგმაზე მდებარეობს ტუმბოს ოთახი და მიწისქვეშა რეზერვუარი, რომელთა ფართობები არ არის ასახული სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებით შეთანხმებულ დამხმარე ფართობში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დამხმარე ფართობის გასწორება. ამასთან, წარმოდგენილი გენ-გეგმა არ იცვლება, აღნიშნულ გენ-გეგმაზე ხდება მხოლოდ ტუმბოს ოთახის და მიწისქვეშა რეზერვუარის ფართობის დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს 614.31 კვ.მ., ხოლო, საერთო ფართობად 13142.33 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი გენ-გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 და 2024 წლის 23 ივლისის №7145062 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.